# სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები სსკგ-ს ეწვივნენ

***სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 17.10.2022.*** 17 ოქტომბერს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები – ჩერნოგორია-პრიმორსკის მიტროპოლიტი იოანიკე და სლავონის ეპისკოპოსი იოანე მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებას ეწვივნენ, სადაც შედგა მათი შეხვედრა სსკგ-ის თავმჯდომარესთან, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონისთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი დეკანოზი იგორ იაკიმჩუკი, ჩერნოგორია-პრიმორსკის სამიტროპოლიტოს მდივანი დეკანოზი ოსტოია კნეჟევიჩი,

იპოდიაკონი ნ. იოქსიმოვიჩი და თარჯიმანი ს.ა. ლუგანსკაია.

საუბრის მსვლელობისას, რომელმაც ძმური ურთიერთგაგების თბილ ატმოსფეროში ჩაიარა, მხარეებმა განიხილეს რუსეთისა და სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობის განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები.

შეხვედრის დასასრულს სსკგ-ის თავმჯდომარემ და მისმა სტუმრებმა ერთმანეთში სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

18 ოქტომბერს, მოსკოვის წმინდა მღვდელთმთავართა კრების ხსენების დღეს, ჩერნოგორია-პრიმორსკის მიტროპოლიტი იოანიკე და სლავონის ეპისკოპოსი იოანე თანამწირველობას გაუწევენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარში.

იმავე დღეს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები მონაწილეობას მიიღებენ წმინდა ტიხონის მართლმადიდებლურ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ფესტივალის – „სერბეთის ნუგეში რუსულ გულს“ – გახსნის ცერემონიალში.

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89723/